## ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი''-ს 2025 წლის ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

### 02 02- გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა.

ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი''-ს ძირითადი მიზნებია კეთილმოწყობის სამუშაოების ორგანიზება და წარმოება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე განათების ქსელებისა და ღამის დეკორატიული განათებების რემონტი და მოვლა-პატრონობა, ნერგების (ხე-მცენარეების, დეკორატიული ბუჩქების, მოყვავილე მცენარეების (ერთწლოვანი, მრავალწლოვანი) შეძენა, დარგვა და არსებული გამწვანების მოვლა- პატრონობა, სასაფლაოებზე საფლავების დადგენილი წესით გამოყოფა და მოვლა- პატრონობა, დაინტერესებული პირებისა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა, ცენტრის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამართული მუშაობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების, სანიაღვრე არხების, სანაგვე ურნების მონიტორინგი და არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდება.
ცენტრში ფუნქციონირებს შვიდი განყოფილება. დასაქმებულია 178 თანამშრომელი , აქედან შტატით 170, შტატგარეშე 8 თანამშრომელი.

ა(ა) იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში 2025 წლის მონაცემებით გვერიცხება 31 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, აქედან 12 ერთეული სპეცტექნიკა. აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებების გამართულად მუშაობისთვის 13 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ემსახურება ტენდერში გამარჯვებული კომპანია

შპს „სენაავტო", ხოლო დანარჩენ ამტომანქანებს ( საგარანტიო ) ემსახურება შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბაასი", შპს ჯი-თი-გრუპი" და შპს „თეგეტა მოტორსი." სატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია ჩვენს მიერ იჯარით აღებულ სს „გერგეზი"-ს ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყო სატრანსპორტო საშუალებების სადგომი და სამრეცხაო, სადაც დამონტაჟდა წნევით სარეცხი აპარატურა. ტერიტორიაზე მოწყობილია ელექტრო განათება. ასევე ავტოპარკის ტერიტორია კონტროლდება ვიდეო სათვალთვალო კამერებით. ტერიტორიაზე მძოლოებისთვის განთავსებულია სპეციალური ოროთახიანი 2 ერთეული საოფისე კონტეინერი, რომელის აღჭურვილია ინტერნეტითა და კონდენციონერით.

ინტერნეტის საშუალებით კონტროლდება ტრანსპორტის გადაადგილება, რომელსაც უზრუნველყოფს სანავიგაციო სიტემა (მაიჯიპიესი). სათანადო ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების კუთხით მუშაობას. სატრანსპორტო საშუალებები უზრუნველყოფილი არიან ზამთრისა და ზაფხულის საბურავებით.

თვეში ერთხელ მძოლოებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებში. სპეცტექნიკაზე დაყენებულია სპეციალური მოციმციმე მანათობელი.

2025 წლის სამუშაო პერიოდში სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის თემში გარე განათების ქსელში გამოიცვალა ლედ დიოდური სანათი „ჩიპი“ 50ვტ- 727 ცალი, ლედ დიოდური ნათურა 32ვტ - 4253 ცალი, სანათი ლამპოინი 150ვტ 17 ცალი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდებსა და სკვერებში გამოიცვალა ლედ დიოდური ნათურა 10ვტ 515 ცალი,

2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობაზე და არსებულის ჩანაცვლებაზე გაიხარჯა შემდეგი დასახელების ელ სადენები: 2X4მმ. - 930 გრძივი მეტრი, , 2X16მმ. -1620 გრძივი მეტრი, 2X2.5მმ-420გრძივი მეტრი.

ნოემბერ-დეკემბრის თვეებში მიმდინარეობდა საახალწლო აქსესუარების, გირლიანდების მონტაჟი შესაბამის ქუჩებსა და პარკებში.

სამუშაო პერიოდში სრულდებოდა სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები.

**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამაზე გაიხარჯი 1658142 ლარი, აქედან გარე განათების მიმდინარე სარემონტო და აღდგენითი სამუშაობის შესრულებაზე და საახალწლო აქსესუარების შეძენაზე სულ გაიხარჯა 119978 ლარი.**

**02 07- სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა**

2025წელს 137 ბენეფიციალების მიერ რამდენიმე ეტაპად გაითიბა და გაიწმინდა 102 სასაფლაოს ტერიტორია.

2025 წელს - რეგისტრაციაში გატარდა 144 დაინტერესებული პირი. მათ შორის მიწის ფართი გამოეყო 50 დაინტერესებულ პირს და რეგისტრაცია გაიარა- 94 დაინტერესებული პირმა. შემოსულმა თანხამ მ2025 წელს შეადგინა 15715 ლარი

თეკლათის სასაფლაოზე შესრულდა სადრენაჟე ჭის ჩალაგება და შიდა გზის მოშანდაკებითი სამუშაოები.მენჯის სასაფლაოზე შესრულდა შიდა გზის მოწესრიგებითი სამუშაოები, ყველა სასაფლაოზე მიმდინარეობდა დაზიანებული ხეების ტოტებისაგან გაწმენდა-გადაბელვის სამუშოები

თეკლათის სასაფლაოზე შესრულდა შიდა ტერიტორიაზე არხის გაჭრის სამუშაოები და აგრეთვე საამშენებლო მასალების შეტანა შიდა გზის გასაყვანად. ყველა სასაფლაოებზე მიმდინარეობდა დაზიანებული ხეების ტოტებისაგან გაწმენდა-გადაბელვის სამუშოები , მისასვლელი გზების და ბილიკების გაწმენდითი სამუშაოები. მენჯის,

საკალანდარიშვილოს, თეკლათის, შხეფის, ძმათა სასაფლაოებზე შესრულდა გათიბვითი და შეწამვლითი სამუშაოები.

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ბათარიის სასაფლაოზე შესრულდა ჩამოვარდნილი შესასვლელი კარის შედუღებითი სამუშაოები და ღობის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ისულას სასაფლაოზე შესრულდა სასაფლაოს ღობის შეღებითვი და ღობის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამაზე გაიხარჯა 179329 ლარი.

**03 01-ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუსაოები, ნარჩენების გატანის პროგრამა.**

2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები, ტროტუარები, სკვერები სულ 10-ჰა ფართობი, რასაც ემსახურებოდა 34-მეეზოვე, 7 საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებული მოსარგებლეები (ბენეფიციალი) და 6 მუშა-მეეზოვე. ყოველდღიურად დაგვილი, შეგროვილი და მოსახლეობიდან გატანილი მყარი ნარჩენების რაოდენობამ შეადგინა საშუალოდ ≈ 32,2 ტ, რაც ხორციელდებოდა 6 - სპეც ნაგავმზიდით, 1 ერთეული გაზ - 53 თვითმცლელით, რომელსაც სამშენებლო ნარჩენებისა და ხის ტოტების გასატანად ვიყენებდით.

მუშებისა და სხვადასხვა სამუშაო იარაღის გადასაადგილებლად ვიყენებდით მსუბუქ ბორტიან მანქანა ივეკოებს.

2025 წელს მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილია 11768,8 ტ საყოფაცხოვრებო ნარჩენები. 2025 წელს შეძენილი იქნა 50 ცალი 1,1 კბ/მ მოცულობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი ურნა. 2025 წლის ბოლოსთვის მთელ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 660 ურნა. მათ შორის 356 ქალაქში, 304 ცალი სოფლებში. წლის განმავლობაში გარემონტდა 57 -ცალი ურნა. ზოგან ძველი ურნა ჩანაცვლდა ახლით.

სენაკში, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ სანაგვე ურნებს წლის განმავლობაში ივნისიდან - ოქტომბრის ჩათვლით ჩაუტარდა დეზინფექცია, ასევე სატვირთო სპეც ნაგავმზიდებს. ურნებს თვეში 1- ჯერ , სატვირთო სპეც ნაგავმზიდებს კი თვეში 2-ჯერ.

დასუფთავების მოსაკრებლის 200 ხელშეკრულებიდან ამოღებულმა თანხამ 2025 წელს შეადგინა 140868 ლარი.

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანის პროგრამაზე გაიხარჯა-1480239 ლარი.

**03 02-ქალაქის მწვანე საფარის შექმნა, არსებულის მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის პროგრამა.**

2025 წელს განყოფილების მუშების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების, მათზე მოწყობილი ცხრაურების ხელით გაწმენდითი სამუშაოები, ასევე სანიაღვრე არხები, ღელეები იწმინდებოდა ექსკავატორით სადაც მიედგომებოდა ხდებოდა თვითმცლელზე დატვირთვა და გატანა, კერძოდ: ნატოჩაოს, შხეფის, დავნილთა ჩასახლების, კურ. მენჯის და სახარბედიოს უბნებში.

ქალაქის: ჭავჭავაძეს, რუსთაველის, ხორავას, ჭყონდიდელის. აღმაშენებელის ქუჩებში არსებული გზის პირა ბეტონის ბორდურები მოწესრიგდა, შეიღება სულ -2488,00 გრძ.მეტრი. ქალაქის ცენტრალურ პარკებში განახლდა მწყობრიდან გამოსული საპარკე 30 (ოცდაათი) ერთეული სკამის ძელაკები.

ქალაქის უბნებში ღვარცოფის მოვარდნის პერიოდში ბენზოტუმბოს მეშვეობით მოხდა წყლის ამოტუმბვა დევნილთა ჩასახლების კორპუსების სარდაფებიდან და კერძო ოჯახების პირველი სართულებიდან ჭავჭავაძეს, რუსთაველის ქუჩებში, ასევე ნატოჩაოს უბანში მცხოვრები მოსახლეობის სახლებიდან.

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან შემოსული წერილების საფუძველზე გაოუყავით ჩვენს ხელთ არსებული ტექნიკა, რათა მოეწესრიგებინათ წერილში მითითებული პრობლემები, კერძოდ შიდა სასოფლო გზები, ხიდბოგირები, სანიაღვრე არეები და სხვა საჭირბოროტო საკითხები.

2025 წელს განხორციელდა მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების, გაზონების მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კერძოდ ხეების გაწმენდა ხავსისაგან, ცრუ ამონაყარების მოშორება, მთლიან ქალაქის ტერიტორიაზე „იუკების გაწმენდა“, გასხვლა, შემობარვა, ხეების ფორმირება და ხეების შეღელვითი (ქვა-კირი) სამუშაოები. სკვერებსა და პარკებში არსებულ ნარგავებზე ტორფის მიყრა. მცენარეების შეწამვლა შხამ-ქიმიკატებით. ახალდარგულ მცენარეებზე სასუქის შეტანა.

ცენტრალური პარკის ქვედა ნაწილში მოჭრილი ძველი ხეების ნაცვლად დაირგო მრავალწლიანი ხე-მცენარეები.

მოსახლეობიდან მიღებული განცხადების საფუძველზე ხდებოდა ხეების მოჭრა, დიდთოვლობის შედეგად ჩამოტეხილი ტოტებისა და გადატეხილი ხეების დაჭრა საშეშედ. სოფელ

უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ყოფილი ჩ/ფ) ქარისაგან წაქცეული ხეების დაჭრა საშეშედ, მისი გამოტანა და დარიგება სოციალურად დაუცველებზე.

ნოქალაქევის ადმინისტაციულ ერთეულის „ცხელი წყლები" მიმდიებარე ტერიტორიის მოთიბვა ეკალ-ბარდებისაგან და გადარგვითი სამუშაოები.

ზამთრისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო მცენარეების აკვრით, შეფუთვით, გადარგვით.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებს თანამშრომლებთან ერთად შვიდი ბენეფიციარი ასრულებს.

ქალაქის მწვანე საფარის შექმნა, არსებულის მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის პროგრამაზე გაიხარჯა 647760 ლარი.

**2025 წლის ბიუჯეტი გეგმით-4061600**

**საკუთარის შემოსავალი-16805**

**ხარჯი- სუბსიდია: 3965470**

**საკუთარი-9500**

**შრომის ანაზღაურება- 2235580**

**შტატგარეშე მომსამსახურეთა ანაზღაურება-- 98685**

**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი----1640703**